საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N01-11/46

ქ. ბათუმი **10 ივნისი, 2013 წ**

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელარიაში სტაჟიორთა მისაღები კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2013 წლის 31 მაისის N01–11/42 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 23–ე და 24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 29 მარტის №2 გადაწყვეტილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შევიდეს ცვლილება ბსუ–ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2013 წლის 31 მაისის N01–11/42 ბრძანების მე–2 და მე–5 ქვეპუნქტებში და სტაჟიორთა კონკურსში მონაწილეობის მისაღებად განცხადებების მიღება გაგრძელდეს **2013 წლის 14 ივნისის ჩათვლით პერიოდში,** ხოლო კონკურსი ჩატარდეს **2013 წლის 18 ივნისს.**

2. ბრძანება კონკურსში მონაწილეობისათვის მისაღები განცხადებების ვადის გაგრძელების შესახებ საჯარო გაცნობის მიზნით გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **ედიშერ ჩავლეიშვილი**